# გორის მუნიციპალიტეტის

# საკრებულო

## განკარგულება № 104

**2020 წლის 14 აგვისტო**
ქ.გორი

**გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2019 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ**

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2019 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2019 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში (დანართი თან ერთვის ).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

პროექტი

# გორის მუნიციპალიტეტის მერია

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ინფორმაცია

(01.11.2019 წ - დან 01.07.2020 წ – მდე) გაწეული მუშაობის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს

გორის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებების შესრულებას.

სამსახური საქმიანობას წარმართავს:

- „საქართველოს კონსტიტუცია“;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- მოქმედი კანონმდებლობა. მერიის და სამსახურის დებულებები;

## სოციალური განყოფილების ფუნქციები:

- სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;
- სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალურ დაწესებულებათა მართვა;
- პროექტების მომზადება და ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველ მოქალაქეების პირობების გაუმჯობესების მიზნით;
- მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებლივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

## ჯანდაცვის განყოფილების ფუნქციები:

- ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების
- კოორდინაცია;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება;
- მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებლივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

## გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

## ბიუჯეტით დაგეგმილ თანხებს განკარგავს:

- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №51 2019 წლის 13 დეკემბერი ქ. გორი „გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად;
- გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი (შემდგომში „წესი“) განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი)ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, ასევე გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილი მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებსა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს;

## გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სმსახურის მიმდინარე ხარჯი

(01.11.2019 წლიდან – 01.07.2020 წლამდე)

| № | ორგ. კოდი 06 00 | დაფინანსების სახე | ხარჯი | მიმღებთა რაოდენობა | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 06 05 10 | ონკოლგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება | 321727 | 985 | ონკოლოგიური(ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მკურნალობის მომსახურების თანადაფინანსება - **500(ხუთასი)**ლარი; კვლევა - **300(სამასი)**ლარი; მედიკამენტები - **300(სამასი)**ლარი; |
| 2 | | ონკოლგიური ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა | | | |
| 3 | 06 05 09 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება | 152789 | 503 | **300(ორასი)**ლარი - კვლევა 0 დან -150000 ჩათ სოციალური ქულის მქონე ბენეფიციარები;<br>**400(ოთხასი)**ლარი - მკურნალობა 0-150000-ჩათ. სოციალური ქულის მქონე ბენეფიციარები; |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | 06 05 12 | უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა | 17602 | 178 | **100(ასი) ლარის მედიკამენტები:** ა)პარკინსონიზმი, ეპილეფსია; ბ) 0 დან - 150000 - ჩათ სოციალური ქულის მქონე ბენეფიციარებისთვის: თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა; შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (ინსულინ დამოუკიდებელი); ბრონქიალური ასტმა; ფარისებრი ჯირკვლის დაავადება; თვალის ქრონიკული დაავადება (გლაუკომა)სამედიცინო კოდი H40 დან. – H42 ჩათვლით; H42* ; (გარდა ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებისა) |
| 5 | 06 05 06 | იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის, სინდრომით,არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0 – E70.1), გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება | 213285 | 336 | **1)** იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, არომატულიამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე (ფენილკეტონურია, სხვა ჰიპერფენილალანემია ICD E70.0– E70.1), კანის ქრონიკული (თანდაყოლილი იქთიოზი ICD Q80), ჰიდროცეფალიით და ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელებით დაავადებული ადამიანების სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების და მედიკამენტების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არაუმეტეს **500** (ხუთასი) ლარის ოდენობით; **2)** ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, გლუტენის დაავადება (ცელიაკია ICD K90.0) და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება განისაზღვროსერთჯერადად, **500** (ხუთასი) ლარის ოდენობით; **3)** (0-დან 18 წლამდე) აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1) ბავშვების სამედიცინო სტაციონარული ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის, კვლევების, სამკურნალო სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, არაუმეტეს **2000**(ორი ათასი) ლარის ოდენობით. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | 06 05 05 | დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება | 103800 | 304 | დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს - **500(ხუთასი)** ლარით;<br>**C** - ჰეპატიტით დაავადებული 0 დან - 150000 ჩათ. სოციალური ქულის მქონე ბენეფიციარებს გაეწიოთ სამედიცინო დახმარება (კვლევა) **150**(ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. |
| | | | 809203 | 2306 | |
| 7 | 06 05 08 | სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება | 18000 | 36 | სოციალურად დაუცველი 0-დან 100000-ჩათ. სოციალური ქულის მქონე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს ნაკრების წევრი ან/და კანდიდატი სპორტსმენების ერთჯერადი დაფინანსება **500(ხუთასი)** ლარით |
| 8 | 06 05 07 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 14700 | 60 | გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული: მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ-ვეტერანთა; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა; იძულებით გადაადგილებულ პირთა; უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება განისაზღვროს **300(სამასი)** ლარით |
| 9 | 06 05 03 | დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები | 24000 | 24 | 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და იმ ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები, დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე **1000 (ერთი ათასი)** ლარის ოდენობით; დედ-მამით ობოლი 0-დან 18 წლამდე პაციენტს დახმარება გაეწევა ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის –**500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით; |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | 06 05 13 | ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება | 28291 | 47 | ერთჯერადი დახმარება (ბუნებრივი მოვლენები) **3000(სამი ათასი)**ლარი; ხანძარი **-3000(სამი ათასი)** ლარი |
| 11 | 06 05 14 | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება | 28700 | 99 | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარება -300(სამასი)ლარი;<br>9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე და 26 მაისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერან შ.შ.მ. პირზე - 300(სამასი) ლარი;<br>საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები – 200 (ორასი) ლარის ოდენობით,"ვეტერანის დღესთან" დაკავშირებით (17 ოქტომბერი); |
| 12 | 06 05 04 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 169000 | 332 | 1. ერთჯერადად მე-3 შვილის შეძენაზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 150000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 0-დან 18-წლამდე 3-შვილიანი ოჯახები.<br>2. ერთჯერადად მე-4 შვილის შეძენაზე 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18- წლამდე 4-შვილიანი ოჯახები.<br>3. ერთჯერადად (თითო ბავშვზე) 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18-წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5- და მეტშვილიანი ოჯახები. |
| 13 | 06 05 02 | ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება | 2000 | 2 | ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000(ერთი ათასი) ლარი |
| 14 | 06 05 15 | რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით | 8880 | 15 | რეინტეგრაციაში მყოფ ბავშვებს (ბენეფიციარებს) დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15 | 06 05 17 | **მარტოხელა მშობლის დახმარება** | 40100 | 84 | ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვთ მინიჭებული (0-დან – 70 000 ისჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა; ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვთ მინიჭებული (70 000-დან – 100 000 ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა; ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ (0-დან 18-წლამდე) შვილი ან შვილები და სოციალური მომსახურების სააგენტოდან აქვთ მინიჭებული (100 000-დან – 150 000 ის ჩათვლით) სოციალური სარეიტინგო ქულა. |
| 16 | 06 05 20 | ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების დახმარების გაწევა | 900 | 3 | ერთჯერადი ფულადი დახმარება დახმარება 300(სამასი)ლარი |
| 17 | 06 05 18 | სოციალურად დაუცველი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მიუსაფარი, უსახლკაროდდარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება | 68135 | 96 | ყოველთვიური დახმარება. თვეში - 100(ასი) ლარი ერიცხება გამქირავებელს; |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 06 05 01 | მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული(ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9)პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება | 79250 | 335 | მკვეთრად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 250(ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით; 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატულ (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ერთჯერადად ფულადი დახმარება გაეწიოთ 200(ორასი) ლარის ოდენობით; სმენადაქვეითებულ (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 200(ორასი) ლარის ოდენობით; |
| 19 | 06 05 22 | 2020 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება | 294 | 3 | ერთჯერად სოციალურ დახმარებას 250(ორასორმოცდაათი)ლარის ოდენობით: პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება; ქონების რეგისტრაცია; კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება პირად საკუთრებაში; პირად საკუთრებაში არსებული კომუნალური გადასახადების(დავალიანება) დაფარვა; მიიღებენ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 2019 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულები. |
| 20 | 06 05 21 | გორის მუნიციპალიტეტში ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა | 48000 | 5 | უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების და მიუსაფარ პირთა კაპიტალური ან/და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთი წლის განმავლობაში, გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | 06 05 19 | სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება | 100 | 2 | სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-დან 65000-ის ჩათვლით) თანამონაწილეობის წილის დაფინანსებას,რომლებიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების პროგრამაში" მონაწილეობის მიღებისას გადახდისუუნაროები არიან, სრულად უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი,სამუშაოების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. |
| 21ა | 06 05 16 | მიუსაფარ პირთა და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება | 18700 | 187 | ერთჯერადი 100 ლარის ფულადი დახმარება (2019) |
| | | ჯამი | 549050 | 1330 | |
| | 06 05 11 | სოციალური პროექტების თანადაფინანსება | 236067 | 1782 | დაფინანსდა 10 სოციალური პროექტი |
| | 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები | 90000 | | |
| | 06 03 | გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოს ხელშეწყობა | 102435 | | |
| | 06 04 | ამბულატორიების შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 84422 | 6 | ტინისხიდის ამბულატორია - **47527**ლარი; ფხვენისის, საქაშეთის, ბერბუკის, ახალდაბის, ძევერის ამბულატორიების რეაბილიტაცია - **36895** ლარი; |
| | | ჯამი | **512924** | | |
| | | სულ ჯამი | **1871177** | | |

# სოციალური პროექტების თანადაფინანსება 2020 წელი

| ორგანიზაციის დასახელება | ხელმძღვანელი | მისამარ | ტელ. E-mail | დაფინანსების შინაარსი | პროექტის მთ. ღირებულება | დაფინ. მუნიც. მხრიდან 2020წ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| "კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი" | თინა ბრეგვაძე ლალი ხომასურიძე(ბუღ.) | გორი თარხნიშვილის -20 | 599792572; tinabregvadze@yahoo.com; tina-1@rambler.ru 558757853 | 25 -შ.შ.მ. პირის - 11ქალაქი; 14-რაიონი თანადაფინანსება(კვება, კომუნალური, ხელფასების ნაწილი) | | 78750 | ხელ.№თ-04 (28.01.20); მემორ (05.01.18) |
| საზოგადოება "ბილიკი" | მარინე მღებრიშვილი | გორი რუსთაველის 19 ა | 599534035 | ქობულეთში 8 დღიანი საზაფხულო ბანაკი. 40 სოციალურად დაუცველი საოჯახო სახლის აღსაზრდელი და 10 აღმზრდელი სულ 50 (დასვენების თანადაფინანსება, კვება,ღამისთევა ტრანსპორტირება, აქტივობები) პრ/ხორც. 2-ეტაპად. | 15155 | 12000 | ხელ.#თ-06; (07.06.19)მემორ (01.01.18) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოება "ბილიკი" | მარინე მღებრიშვილი | გორი რუსთაველის 19 ა | 599534035 | დღის ცენტრის 6-18წლამდე 60 ბენეფიციარის (პურით და მედიკამენტებით) თანადაფინანსება. | 76752 | 4440 | ხელ.#თ-01; (28.01.20)მემორ (01.01.18) |
| საზოგადოება "ბილიკი" | მარინე მღებრიშვილი | გორი რუსთაველის 19 ა | 599534035 | პრ. "ხელი-ხელს" 0-7 წლამდე 50 განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური უნარების განვითარების ხეშეწყობა | 78576 | 21780 | ხელ.#თ-07; (29.01.20)მემორ (01.01.18) |
| ა(ა)ი.პ. სკრის სათემო ასოციაცია "ბეთლემი" | მერი მაყიშვილი | სოფ. სკრა | asociaciabetlemi@ramrler.ru 599176477 | 23 სოც. დაუცველი, შ.შ.მ. დევნილი ბავშვების და 3 მოზარდი ლიდერის საზაფხულო ბანაკში 10 დღიანი დასვენება. (ტრანსპორტი, კვება ღამისთევა) | 8225 | 6500 | ხელ.#თ-03; (28.01.20)მემორ (07.06.19) |
| გორის მუნიციპალიტეტი სსკრის სათემო ასოციაცია "ბეთლემი" | მერი მაყიშვილი | სოფ. სკრა | asociaciabetlemi@ramrler.ru 599176477 | სკრის თემში მცხოვრები 20 მზრუნველობა მოკლებული მარტოხელა მოხუცის საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით მათთვის საჭირო, სხვადასხვა აქტივობების ჩატარება და სოციალური სამრეცხაოთი მომსახურება | 9720 | 5125 | ხელ.#თ-09; (29.01.20)მემორ (26.02.18) |
| ა.(ა)ი.პ. საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი" | დირექტორი-ანაჰიმ მხოიანი(სომხეთი)ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მენეჯერი-გაიოზ ყუბანეიშვილი გორის კოორდინატორი- | გორი ნინოშვილის -89 | 599229700--------------------------------------- 599179015 | 200-სიღარიბის ზღვარს მიღმა და შ.შ.მ.-პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. შინმოვლის სერვისების(სამედიცინო, საექთნო, სოციალური სერვისები) ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი ხარისხის გაუმჯობესება | 200049.8 | 29999.88 | ხელ.#თ-02; (28.01.20)მემორ (09.01.18) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ოლენა გურგენიძე | | | | | | |
| "საქართველოს სამარიტელთა კავშირი" | დირექტორი-ირინე კლდიაშვილი; ნინო ვანიშვილი | თბილისი როდენის ქ.4; გორი; | 995 32 2238250; 577 406 093; 599 232 902; | "მოხუცებულთა შინმოვლა" სახლში ვიზიტი, სამედიცინო, მედიკამენტებით და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა 90 სოც. დაუცველ მოხუცებულზე | 46090 | 30085 | ხელ.#თ-05; (29.01.20)მემორ (12.01.18) |
| "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება" | გენ მდივანი ნინო ოსეფაიშვილი; გორის ოფისის ხელმძღვანელი თამარ სახლთხუციშვილი | თბილისი-0102, ჯ. კახიძის 15, საიდ.კ. 202051536 | (995 32)2961534; 599 911 288 | "უსაფრთხო და ღირსეული გარემო ხანდაზმულებისთვის გორის საქმიანობათა ცენტრში" გორის წითელი ჯვრის საქმიანობათა ცენტრში 1200 სოც დაცველი ხანდაზმულისთვის მობილური სამედიცინო კაბინეტით სარგებლობა, ჰიგიენური, სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება | 105044.8 | 24880.79 | ხელ.#თ-08; (29.01.20)მემორ (20.12.17) |
| ასოციაცია "თანხმობა" | თავმჯდომარე იულია ხარაშვილი | თბილისი თამარ მეფის 20 | 599,570,798 | პროექტი "ღირსეული სიბერე-" 70 სოც. დაუცველ მოხუცებულზე, მათ შორის 34 დღის ცენტრის ბენეფიციარზე შინმოვლის სერვისების მიწოდება. 12 მოხალისის ჩართულობა. | 50267.28 | 22506.08 | ხელ.#თ-06; (29.01.20)მემორ (23.02.18) |
| | | | | | 960839.9 | 236066.8 | |

## ა(ა)იპ სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტო

## 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ივლისამდე გატარებული სამუშაოები

1) 264 – სტერილიზაცია
2) 87 - კასტრაცია
3) დაჭერილია (შემოყვანიალია) 723-ძაღლი; მათ შორის განმეორებით; 198 - ლეკვი
4) გაჩუქებულია - 120 ლეკვი; 67 ძაღლი;
5) სიკვდილიანობა - 103 ძაღლი; 136 - ლეკვი;
6) გაშვებულია და ცოფზე აცრილია 233 ძაღლი;
7) ამჟამად სააგენტოში 84 ძაღლია და 43 ლეკვი

შტატიან თანამშრომლებზე სულ გახარჯულია: 42878

შტატგარეშე თანამშრომლებზე გახარჯულია: 25506

ცხოველთა კვება: 24631

სამედიცინო ხარჯი: 5522

მანქანის ხარჯი: 3898

საწვავის ხარჯი თვეების მიხედვით:

| # | თვე | თანხა |
|---|---|---|
| 1 | ნოემბერი 2019 | 729 |
| 2 | დეკემბერი 2019 | 937,25 |
| 3 | იანვარი 2020 | 682,56 |
| 4 | თებერვალი 2020 | 730,94 |
| 5 | მარტი 2020 | 787,2 |
| 6 | აპრილი 2020 | 645,58 |
| 7 | მაისი 2020 | 539,78 |
| 8 | ივნისი 2020 | 504,4 |

## საქართველო ა.(ა).ი.პ.„გორის მუნიციპალიტეტის

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

**2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ივლისამდე** ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში შემოვიდა სასწრაფო შეტყობინება 1856 შემთხვევაზე. მართვადი ინფექციების შემთხვევიდან დაფიქსირდა ყივანახველას 1 შემთხვევა.

გრიპის სეზონის გამო **2019 წლის 1 ნოემბრიდან** სულ სეზონურ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდა 1772 პირს, მათ შორის მცირე ბავშვთა სახლის 6 ბენეფიციარს, სამედიცინო პერსონალს 870, „C“ ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართული 103 პიროვნებას, დიალიზზე მყოფი 53 ბენეფიციარს, ორსულს 9, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების 226, ვეტერინარიის სფეროში მომუშავე 8 პირს, დიაბეტიკს 371, შსს-ს თანამშრომელს-126.

ნოემბრის თვეში ბოტულიზმის ოჯახური ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. კონტაქტირებულებს პროფილაქტიკის მიზნით ჩაუტარდათ ანტიბოტულინური თერაპია.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ეპიდზედამხედველობა დამყარდა თვითიზოლაციაში მყოფ 548 პირზე, დღეში ორჯერ ხდებოდა მათი დისტანციური მონიტორინგი, კვირაში ერთხელ ადგილზე მისვლით. კოვიდ-19-ის 12 დადასტურებული შემთხვევა გვქონდა, თერმოსკრინინგი ჩაუტარდა დაახლოებით 1200 მდე მოქალაქეს ორ სოფელში, ქვეყნის მაშტაბით დადასტურებული შემთხვევებიდან 39 ეპიდკვლევა განეახორციელეთ, სადიაგნოსტიკოდ აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ლაბორატორიაში –253 ნიმუში.

**ზოონოზური ინფექციებიდან ბრუცელოზის** 1 ; ბორელიოზის 2 ; **პოქსვირუსის** 2 შემთხვევა დაფიქსირდა ; ჩატარდა ეპიდკვლევები, ოჯახის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული დაავადებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 15-49 წლის (რეპროდუქციული) ასაკის ქალთა სიკვდილიანობის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, ჩატარდა ეპიდკვლევა.

ვერბალური აუტოფსია ჩატარდა 259 გარდაცვლილ მოქალაქეზე კარდაკარ შემოვლის პრინციპით.

ტუბერკულოზის 25 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა აქედან 23 ფილტვის (მგბ+11, მგბ–12) ფორმა და 2 ფილტვგარეშე. ფილტვის ოცდასამივე შემთხვევაზე ჩატარდა ეპიდკვლევა კონტაქტირებულების დასადგენად, სულ 29 კონტაქტირებული მოვიძიეთ, ყველა მათგანის რეფერალი მოხდა ტუბ კაბინეტში ლატენტურ/აქტიურ ტუბერკულოზზე დიაგნოსტიკური კვლევისათვის. მკურნალობის შეწყვეტის 2 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან ერთი პაციენტის მოძიება იქნა შესაძლებელი მისი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით. მეორე პაციენტი რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ჩვენი რეგიონის ტერიტორიაზე არ ცხოვრობს. გარდაცვალების შემთხვევა ტუბ პაციენტებში არ დაფიქსირებულა.

ცხოველების მიერ დაკბენილ-დადორბლილ პირთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 757, მ.შ პატრონიანი ცხოველით -398 და მოხეტიალე ცხოველით - 244 შემთხვევა დაფიქსირდა. 15 წლამდე ასაკის 255 . ყველა პირი აღრიცხული იყო ანტირაბიულ კაბინეტში და იტარებდა შესაბამის პროფილაქტიკურ მკურნალობას. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მიწოდებული იყო სურსათის უვნებლობის რეგიონალური სამსახურისათვის. ადამიანებში ჰიდროფობიის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

პროფილაქტიკური აცრები **2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ივლისამდე** ტარდებოდა ეროვნული კალენდარის მიხედვით. გასული წლის ნოემბრის თვეში დადგინდა **2020 წლის** ასაცრელ ბავშვთა გეგმა-კონტიგენტი.

**2019 წლის** ნოემბრის თვეში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო პერსონალს (სულ 95 მედიცინის მუშაკს) ჩაუტარდა ტრეინინგი პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვასთან დაკავშირებით. 135 მედიცინის მუშაკი იქნა გადამზადებული „ც-ჰეპატიტის" სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

პარაზიტოლოგიურ კაბინეტის მიერ წლის განმავლობაში ჭიის კვერცხებზე გამოკვლეული იქნა 1314 პიროვნება. კვლევის შედეგად ენტერობიოზი აღმოჩნდა 417, ასკარიდოზი -165, სოლიტერი -1, შერეული ინვაზია (ენტერობიოზი+ასკარიდა) -120, ლამბლიოზი -1, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი+პროტოზოა) -1, ტრიხოცეფალოზი –1, ანალიზები ინვაზიის გარეშე - 608. პროფილაქტიკის მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელებს გადაეცათ 1796 აბი მედიკამენტი „ვერმოქსი".

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ

2020 წლის 6 თვეში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლის მიზნით მონიტორინგი განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 13 საჯარო და 19 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, სილამაზისა და ესთეთიკის 8 სალონში. 191 ობიექტი იქნა შემოწმებული „თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით. კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე განხორციელდა საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრები სეზონურ გრიპისა და ზემო სასუნთქი გზების ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ, პანდემიის დაწყებისთანავე მოსახლეობას მივაწოდეთ საინფორმაციო მასალა ახალი კორონა ვირუსის შესახებ.

2020 წლის 1 იანვრიდან „თამბაქოს შესახებ კანონი''-ის მიხედვით მოწევა აიკრძალა სტადიონებზე, ამასთან დაკავშირებით დავამზადეთ ორი ტიპის ბანერები, რომლებიც განთავსდა „გორის დილას'' სტადიონზე, დამზადდა პირბადეები (წარწერით „გორი თამბაქოს გარეშე", რომლის დარიგებაც მოხდა მოსახლეობაში), ფლაერები (სახელწოდებით „ახალი კორონავირუსი და თამბაქოს მოხმარება''-დარიგდა თვითიზოლაციაში მყოფ მოსახელეობაში) და მოწევის აკრძალვის ტელეფონზე დასაკრავი სტიკერები.

## პანდემია 2020 წელი

ქვეყანაში და კერძოდ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჩართულობით ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამოსწორებამდე გატარებული იქნა შემდეგი ღონიზძიებები:

1) გადაადგილების მიზნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სტაბილურად სარგებლობამდე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებების, მათ შორის მერიის ბალანსზე რიცხული 15 სამედიცინო ამბულატორიის პერსონალისთვის, გამოიყოს ტრანსპორტი 200 ადამიანისათვის, გორიდან სამუშო ადგილამდე მიყვანის და უკან გორში დაბრუნების მიზნით, შემდეგი მიმართულებით: ნიქოზი - ერგნეთი - ქვახვრელი - ატენი - მეჯვრისხევი.

2) შპს "ლატეს" და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს" ლატემ" პანდემიის პერიოდში უზრუნველყო 30000-სოციალურად დაუცველ და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე სასურსათო და ჰიგიენური პაკეტის მოწოდება.

3) მერიის მიერ ეტაპობრივად განხორციელდა მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების, ქუჩების, გზების, ამბულატორიების და შენობა ნაგებობების სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავება.

4) პანდემიის პერიოდში საქალაქთაშორისო ტრანსპორტის სტაბილურად ამუშავებამდე სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიტანა ცვლილება სოციალურ წესში და 3 თვის განმავლობაში დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ადამიანებმა, პროგრის დროულად გამოყენების მიზნით მიიღეს დამატებითი თანხები ტრანსპორტით გადაადგილებისათვის.

## შექმნილი პრობლემები და მათი შემცირება

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის კომუნალური გადასახადების შემცირება;

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა;

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადაპტაცია არსებულ გარემოში:
   ა) ქუჩაში ფეხით და ეტლით მოსიარულეთათვის, სპეციალური ნიშნების დამონტაჟება, ბილიკების და პანდუსების მოწყობა;
   ბ) საცხოვრებელ ბინებში, სამუშაო ადგილებზე, მომსახურეობის, სავაჭრო, კულტურის, სპორტის ცენტრებსა და თავშეყრის ადგილებში პანდუსების და მათთვის შესაფერისი პირობების მოწყობა;
   გ) სურდო თარჯიმნების დასაქმება, საინფორმაციო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში;

4. "ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში" გაუთვალისწინებელი დაავადებების მკურნალობის, კვლევების და მედიკამენტების დაფინანსება;

5. ომისგანთ დაზარალებული მოსახლეობის და სხვა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ფსიქო - სოციალური რეაბილიტაცია;

6. მოხუცებილთა და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის დროებითი საცხოვრისების შეძენა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ბინების რეაბილიტაცია;